საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოსხური მთები

მოსხური მთები, ქედების სისტემა, რომელიც იხსენიება ანტიკურ (ბერძნულ-ლათინურ) წყაროებში. **მ. მ**-ით „მოსხიკე“ (მესხეთი) გამოიყოფოდა მეზობელი ტერიტორიებისგან, კერძოდ, ერთი მხრივ, კოლხეთისაგან (აჭარა-ახალციხის ქედი), მეორე მხრივ, კი – სომხეთის სამეფოსგან (ჭოროხ-მტკვრისა და ევფრატ-არაქსის წყალგამყოფი სისტემა). არსებობს სხვაგვარი ლოკალიზაცია, რ-ის მიხედვით **მ. მ**. აღმ. პონტოს ქედის ნაწილია (ს. ჯანაშია).

წყარო.: ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.

ლიტ.: ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954; მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977; ჯ ა ნ ა შ ი ა ს., პარიადრი, სკიდისი, მოსხური მთები, „საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, 1952, ტ. 2; Х а з а р а д з е Н. В., К вопросу о локализации Мосхийских гор, «Вопросы древней истории», 1977 т. 5,.

დ. მუსხელიშვილი